საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 26-03
10/01/2017

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიების შექმნის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 14 დეკემბრის N1487-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 26 დეკემბრის N27 სხდომის ოქმის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით, ანა კვანჭილაშვილის 2017 წლის 9 იანვრის N179-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 2015 წლის 14 დეკემბრის N1487-03 ბრძანებაში:

ა) შეიცვალოს ბრძანების 1-ლი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები, დაემატოს ,,დ“ და ,, 1^1“ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ) ანა კვანჭილაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით;

გ) კახაბერ კაპანაძე - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი;

დ) დალი ცქიტიშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი.

1^1. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღებისას ხმები გაიყოფა თანაბრად, პროექტი განსახილველად გადაეცემა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საბჭოს;“

ბ) შეიცვალოს ბრძანების მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები, დაემატოს ,,თ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ) ანა კვანჭილაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით;

გ)კახაბერ კაპანაძე - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი; ‘’

,,თ) დალი ცქიტიშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;“

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ამ ბრძანების ასლები მიაწოდოს ყველა საგანმანათლებლო ერთეულს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან

ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით, იურიდიულ სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, რექტორის მოადგილეს.

გიგა ზედანია

რექტორი